საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2498/01
06/03/2020

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
შემოსვლის თარიღი 10.03.20
შემოსვლის დრო 8
შემოსვლის № 3517412
ფურცლების რაოდენობა 15გ 01 ... 12გ 02 ... 38
03 ...

2498-01-2-202003061031

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს ქალბატონ მერი გულუაშვილს

ქალბატონო მერი,

წარმოგიდგენთ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაგებელს თქვენს წარმოებაში არსებულ ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას" სარჩელთან დაკავშირებით (საქმე N3/9359-19).

დანართი: 38 ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მხოლოდ სასამართლო ჩანაწერებისთვის

შტამპის ადგილი

# შესაგებელი
## ადმინისტრაციულ საქმეზე

საქმე №3/9359-19

ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა
მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება)

მერი გულუაშვილი
მოსამართლის სახელი და გვარი

## მოპასუხე: შენიშვნა-1

საქართველოს გარემოს დაცვისა
და სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი შენიშვნა-2 | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

## მოპასუხის წარმომადგენელი: შენიშვნა-3

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

## საკონტაქტო პირი: შენიშვნა-4

მარი იმერლიშვილი | 599 130610
599077100

სახელი, გვარი | სახლის ტელ. | მობილური | ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-5

ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 2.27-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

# სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

საჩით:

დასაბარებელი პირის სტატუსი შენიშვნა-6

| სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი |
|---|---|---|
| | | |

| ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |
|---|---|
| | |

| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

შენიშვნა-7

## ცნობთ თუ არა სარჩელს?

დიახ ☐

არა ☒

ნაწილობრივ ☐

შენიშვნა-8

## მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე

შენიშვნა-9 შენიშვნა-10 შენიშვნა-11 შენიშვნა-12

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მოსარჩელის განმარტებით ადმინისტრაციული წარმოების მასალებში არ მოიპოვება რაიმე დოკუმენტი, რაც დაადასტურებდა სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ან მისი ზემდგომის მიერ კანონდარღვევის ფაქტის შესახებ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისათვის შეტყობინების ფაქტს. ამასთან აღნიშნულია, რომ საჯარო განხილვის ოქმი მხოლოდ 2019 წლის 17 აპრილს შეადგინა და დაადასტურა გარემოსდაცვითი შეფასების სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა. გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო განხილვის წესის“ თანახმად სამინისტროს წარმომადგენელი (წარმომადგენლები) საჯარო განხილვის ჩატარებიდან 5 დღის ვადაში ადგენს საჯარო განხილვის შესახებ ოქმს. ხოლო „დღე“ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსისა“ და ზემოაღნიშნული წესის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამუშაო დღეა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საჯარო განხილვა მოეწყო 2019 წლის 12 აპრილს, ხოლო საჯარო განხილვის შესახებ ოქმი შედგენილი იქნა 17 აპრილს (საჯარო განხილვის ჩატარებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში). რაც შეეხება კანონდარღვევის ფაქტის შესახებ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისათვის შეტყობინების ფაქტს, სამინისტრომ „არ ემ ჯი აურამაინის“ მიერ სოფელ ზერთაკარში შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელებული საქმიანობის გამოვლენის ფაქტის შესახებ, შემდგომი რეაგირების მიზნით გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს აცნობა ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის ეტაპზე 2019 წლის 23 აპრილს, საჯარო განხილვის ოქმის შედგენიდან ოთხი დღის ვადაში.

მე-6 ფაქტობრივ გარემოებას- არ ვეთანხმები

მე-7 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მე-8 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მე-9 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები
მე-10 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მე-11 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები
მითითბულ გარემოებას რომელიც ეხება სამართალდარღვევებს ნარჩენების მართვის კოდექსიდან გამომდინარე, ისევე როგორც მიწის დეგრადაციას და ზიანს აღნიშნული საკითხები ცდება დავის საგანს და გამოვლენილი დარღვევები სკოპინგის დასკვნასთან არაა შემხებლობაში! ამასთან ზიანზე და მიწის დეგრადაციაზე არ უნდა იმსჯელოს სასამართლომ.
მე-12 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მე-13 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები
სამოხელეო გულგრილობა, კორუფციული გარიგება და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უმოქმედობა - დავის საგანთან შემხებლობა არ აქვს. დამატებით განვმარტავთ, რომ სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა შეისწავლა საკითხი და პასუხი აცნობა ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას.
მე-14 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები
მე-15 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები
მე-16 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მე-17 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები
"გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" 46-ე მუხლის მე-6 ნაწილი განსაზღვრავს, რომ სკრინინგის გადაწყვეტილება, სკოპინგის გადაწყვეტილება, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან სასამართლოში.

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

## დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-13 შენიშვნა-14 შენიშვნა-15

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

| | | |
|---|---|---|
| დიახ | ☐ | რის საფუძველზე? |
| არა | ☒ | |

შენიშვნა-16

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?

| | | |
|---|---|---|
| დიახ | ☐ | რის საფუძველზე? |
| არა | ☒ | |

შენიშვნა-17

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

| | | |
|---|---|---|
| დიახ | ☐ | რომელი საფუძვლით? |
| არა | ☒ | |

შენიშვნა-18

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?

| | | |
|---|---|---|
| დიახ | ☐ | რომელი საფუძვლით? |
| არა | ☒ | |

შენიშვნა-19

## მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე

შენიშვნა-20 შენიშვნა-21 შენიშვნა-22

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

მოსარჩელის მოთხოვნა: ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 ოქტომბრის N2-1010 ბრძანება - "შპს "არ ემ ჯი აურამანი"-ის ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 1780მ3 მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" უსაფუძვლოა, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძვლებს. მოსარჩელე თავის სასარჩელო მოთხოვნაში უთითებს, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 24 ოქტომბრის N2-1010 ბრძანების გამოცემისას დარღვეულ იქნა მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილები, რომლის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

როგორც ვხედავთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლი გამოყოფს აქტის ბათილობის რამოდენიმე საფუძველს 1)თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, 2) თუ არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის მოთხოვნები, 2.1) ასეთ არსებით დარღვევად ითვლება ამავე კოდექსის 32-34 მუხლით გათვალისწინებული წარმოების სახის დარღვევა ან/და კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის

შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. შესაბამისად, სზაკ მკაცრად განსაზღვრავს აქტის ბათილობის სამართლებრივ საფუძვლებს. მოცემულ სამართლებრივ დავაში მოსარჩელე მხარე ვერ ასაბუთებს, აქტის ბათილობის რომელიმე სამართლებრივი საფუძვლის არსებობას და არასწორ შეფასებას აძლევს ფაქტებს, კერძოდ: მოსარჩელე უთითებს, რომ სამინისტრომ უკვე მიმდინარე საქმიანობაზე გასცა სკოპინგის დასკვნა რომელიც მხოლოდ დაგეგმილი საქმიანობის შემთხვევაში გაიცემა. ხოლო, მიმდინარე საქმიანობაზე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი ითვალისწინებს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და ასეთი გადაწყვეტილების მიღება ხდება ეკოლოგიური აუდიტის საფუძველზე (და არა გზშ-ს საფუძველზე, რომელიც მხოლოდ დაგეგმილის საქმიანობის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების გამოვლენისა და შესწავლის პროცედურაა) რომელიც გულისხმობს ამ საქმიანობის ტექნიკური, ეკოლოგიური და სოციალური მაჩვენებლების კომპლექსურ ანალიზს, რომელიც მოიცავს მთელ საწარმოო ტექნოლოგიურ ციკლს, ტარდება გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების საშუალების დადგენისა და აღნიშნული საქმიანობის გარემოსდაცვითი ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. თუმცა, იქვე უთითებს, რომ კოდექსის თანახმად, ასეთი გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ ისეთ საქმიანობებზე, რომელთა განხორციელებაც 2015 წლის 1 ივნისამდე დაიწყო და რომლებსაც არ აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა ან მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება.

განვმარტავთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე სამინისტროს წარუდგინოს სკოპინგის განცხადება სკოპინგის ანგარიშთან ერთად. თუმცა სამშენებლო სამუშაოების ან საქმიანობის დაწყების შემთხვევაში, კოდექსი არ ითვალისწინებს განსხვავებულ პროცედურას. ამასთან მოსარჩელე უთითებს კოდექსის 47-ე მუხლს (მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესი და პასუხისმგებლობა მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობისთვის), თუმცა აღნიშნული მუხლი ვრცელდება საქმიანობებზე, რომელთა განხორციელებაც 2015 წლის 1 ივნისამდე დაიწყო და რომლებსაც არა აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა ან მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკოპინგი არის პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გზშ-ისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის გზშ-ის ანგარიშში ასახვის საშუალებებს. სკოპინგის ანგარიში არის წინასწარი დოკუმენტი, რომელიც საქმიანობის განმახორციელებელმა ან/და კონსულტანტმა მოამზადა და რომლის საფუძველზედაც სამინისტრო გასცემს სკოპინგის დასკვნას.

ხოლო, სკოპინგის პროცედურის შედეგად მიღებული სკოპინგის დასკვნით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განისაზღვრება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. სკოპინგის დასკვნით საქმიანობის განმახორციელებელს არ ენიჭება საქმიანობის განხორციელების უფლება, შესაბამისად საქმიანობის განმახორციელებლისთვის სკოპინგის დასკვნა სავალდებულოა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებისას.

გაცნობებთ, რომ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით სამინისტროში შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ მიერ 2019 წლის 21 მარტს წარმოდგენილი იყო ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 1780083 მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტის სკოპინგის ანგარიში. რაც შეეხება სამინისტროს მიერ განხორციელებულ სკოპინგის პროცედურას, გაცნობებთ, რომ სამინისტრომ

ადმინისტრაციული წარმოება უზრუნველყო კანონმდებლობით დადგენილი წესით. კერძოდ, სამინისტრომ უზრუნველყო სკოპინგის განცხადების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება და დაინტერესებულ საზოგადოებას მიეცა საშუალება სკოპინგის განცხადებასთან დაკავშირებით წარმოედგინა სამინისტროში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები. ამასთან, სკოპინგის პროცედურის განხორციელების ეტაპზე სამინისტროს მიერ საჯარო განხილვა დაიგეგმა 2019 წლის 12 აპრილს ბოლნისის მუნიციპალიტეტის, სოფ ბერთაკარის არასრული საჯარო სკოლის ადმინისტრაციულ შენობაში და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა კანონმდებლობით დადგენილი წესით. 2019 წლის 12 აპრილს 11 საათზე სოფელ ბერთაკარის არასრული საჯარო სკოლის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა, ბექთაკარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 1780მ3 მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტის სკოპინგის ანგარიში საჯარო განხილვა, რომელსაც ესწრებოდნენ შპს „არ ემ ჯი აურამაინის", ააიპ მწვანე ალტერნატივას, საყდრისის დაცვის კომიტეტის და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები. საჯარო განხილვის სხდომის დასრულების შემდეგ განხორციელდა ტერიტორიის დათვალიერება. ადგილზე გამოვლინდა, რომ კომპანიის მიერ თითქმის დასრულებული იყო რეზერვუარ-სალექარის სამშენებლო სამუშაოები.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სკოპინგის ანგარიშის განხილვისა და მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით, სამინისტრომ უზრუნველყო სამინისტროს სისტემაში შემავალ სტრუქტურულ ერთეულებთან და შესაბამის უწყებებთან წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადაგზავნა 2019 წლის 12 აპრილს და შესაბამისად წერილები შედგენილი და ხელმოწერილი იქნა საჯარო განხილვამდე, ხოლო სამინისტროსათვის საჯარო განხილვისა და ტერიტორიის ადგილზე დათვალიერების შემდეგ გახდა ცნობილი რეზერვუარ-სალექარის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ. შესაბამისად ზემოაღნიშნულ წარმოების მასალებში ვერ იქნებოდა მითითებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზემოაღნიშნული სამშენებლო სამუშაოები თითქმის დასრულებული იყო.

ხოლო, შემდგომი რეაგირებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს აცნობა „არ ემ ჯი აურამაინის" მიერ სოფელ ბერთაკარში შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელებული საქმიანობის გამოვლენის ფაქტის შესახებ, ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის ეტაპზე 2019 წლის 23 აპრილს საჯარო განხილვის ოქმის შედგენიდან ოთხი დღის ვადაში და ასევე დანართის სახით გადააგზავნა 2019 წლის 16 აპრილს ( N5566) სამინისტროში შემოსული ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას" წერილიც.

გარდა ამისა, 2019 წლის 23 აპრილს სამინისტრომ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსადაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს შემდგომი რეაგირებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით გადაუგზავნა საქართველოს პარლამენტის წევრის კახაბერ კუჭავას 2019 წლის 16 აპრილის N4516/4-5/19 წერილი, რომლის მიხედვით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს ააიპ „საყდრისის კომიტეტი კულტურული მემკვიდრეობისათვის" თავმჯდომარის მიერ მიეწოდა ინფორმაცია, რომ ა/წ 12 აპრილს „საყდრისის კომიტეტის" წევრები ესწრებოდნენ შპს „არ ემ ჯი აურამაინის" ბექთაქარის ტეროტორიაზე რეზერვუარ-სალექარის მოწყობის პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვას და წარდგენილი პროექტით კომპანიის წარმომადგენლები ცდილობდნენ დაემალათ უნებართვო მშენებლობა.

2019 წლის 3 ივლისს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა აცნობა სამინისტროს შპს „არ ემ ჯი აურამაინის" მიმართ დეპარტამენტის მიერ გატარებული

რეაგირების, ადგილზე განხორციელებული ინსპექტირების შედეგად დადგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა და სამართალდარღვევის შესახებ ოქმების სასამართლოში გადაგზავნის შესახებ. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გატარებული რეაგირების შედეგად კომპანიის მიერ ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სარჩელის დავის საგანთან (სკოპინგის დასკვნა) შემხებლობა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79-ე მე-7 პრიმა მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის (17800 მ3 მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობა) გარდა სხვა სამართალდარღვევებს არ აქვთ. შესაბამისად აღნიშნული გარემოებები და შესაბამისი მტკიცებულებები არ უნდა იქნეს გათვალისწინებული სასამართლოს მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის განმარტება, იმის თაობაზე, რომ სამინისტროს თანამშრომლებს არაფერი გაუკეთებიათ კომპანიის მიერ საზოგადოებისა და საჯარო უწყების მოტყუებით ნებართვის მოპოვების ფაქტზე რეაგირებისათვის, საფუძველს მოკლებულია.

2019 წლის 10 ივლისს შპს „არ ემ ჯი აურამაინმა“ მომართა სამინისტროს და ვინაიდან გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგად შედგენილი იქნა სამართალდარღვევის შესახებ ოქმები, ითხოვა საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების განახლება. სამინისტრო წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნული სამართალდარღვევის ოქმები გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გადაგზავნილი იქნა შესაბამის სასამართლოში, ხოლო ბოლნისის რაიონული სასამართლოს მიერ შპს „არ ემ ჯი აურამაინი“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79-ე მე-7 პრიმა მუხლის (საქმიანობის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება) პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო და განესაზღვრა ადმინისტრაციული სახდელი ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №4/1-101-19 დადგენილებით, სამინისტრომ უზრუნველყო ადმინისტრაციული წარმოების განახლება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ სკოპინგის პროცედურა არის ეტაპი, რომლის განხორციელებისას სამინისტრო უზრუნველყოფს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ფარგლების დადგენას და სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული ინფორმაციისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, როგორც სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვისას გამოვლინდა, ვინაიდან კომპანიის მიერ თითქმის დასრულებული იყო რეზერვუარ-სალექარის სამშენებლო სამუშაოები, თუმცა საქმიანობა არ იყო დაწყებული, ხოლო ზემოქმედების შესწავლას საჭიროებს საქმიანობა როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის, შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ მიერ წარმოდგენილი გზშ-ს ანგარიში შემუშავებული უნდა იყოს ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

ამასთან მოსარჩელე მიუთითებს, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასება ტარდება მხოლოდ დაგეგმილ საქმიანობაზე და გაუგებარია როგორ უნდა ჩატარდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასება მიმდინარე საქმიანობაზე. ასევე მოსარჩელე მიუთითებს, რომ არსებობდა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-14 მუხლით გათვალისწინებული ყველა წინაპირობა და შესაბამისად უნდა მიღებულიყო გადაწყვეტილება საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კოდექსით გათვალისწინებული სკრინინგის, სკოპინგის და გზშ პროცედურა

ითვალისწინებს დაგეგმილი საქმიანობების შეფასებას, თუმცა სამშენებლო სამუშაოების ან საქმიანობის დაწყების შემთხვევაში, კოდექსი არ ითვალისწინებს განსხვავებულ პროცედურას. შესაბამისად, არ არსებობდა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-14 მუხლით გათვალისწინებული საფუძველი. ამასთან, სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვისას გამოვლინდა კომპანიის მიერ თითქმის დასრულებული იყო რეზერვუარ-სალექარის სამშენებლო სამუშაოები, თუმცა ექსპლუატაციაში შესული არ ყოფილა და საქმიანობა არ იყო დაწყებული. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-10 მუხლის თანახმად, გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას არა მხოლოდ მშენებლობის, არამედ ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ. ასევე კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს პირობებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში და ექსპლუატაციის დასრულების შემდეგ. შესაბამისად გარემოზე ზემოქმედების შესწავლას საჭიროებს საქმიანობა როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპისთვის.

სამინისტროს მიერ სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგენილ იქნა საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 ოქტომბრის N2-1010 ბრძანებით შპს „არ ემ ჯი აურამაინის" ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 1780მ3 მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტზე გაიცა სკოპინგის დასკვნა. გარდა სხვა მოთხოვნებისა სკოპინგის დასკვნით ასევე განისაზღვრა, რომ გზშ ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 ოქტომბრის №2-1010 ბრძანება გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა და პროცედურათა სრული დაცვით და მისი ბათილად ცნობის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლით გათვალისწინებული არცერთი საფუძველი არ არსებობს.

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

# მტკიცებითი შუამდგომლობები

*შენიშვნა-23*

| | |
|---|---|
| მოწმე | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
| ექსპერტი | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
| სპეციალისტი | ფაქტობრივი გარემოება(ები) |

*შენიშვნა-24*

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.

1.

*შენიშვნა-25*

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

*შენიშვნა-26*

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1.

*შენიშვნა-27*

# სხვა სახის შუამდგომლობები

*შენიშვნა-28*

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

**დიახ** ☐ რის საფუძველზე?

**არა** ☒

*შენიშვნა-29*

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

**დიახ** ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?

**არა** ☒

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;

» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;

» სასამართლო ხარჯები;

» სასამართლოსგარეშე ხარჯები;

» ყოველდღიური ხარჯები.

## თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

**დიახ** ☐ მორიგების პირობები:

**არა** ☒ რადგან

შენიშვნა-30

## თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-31 შენიშვნა-32

დანართი 1: "ნინო თანდილაშვილისათვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 18 ივნისის №2-557 ბრძანება - 2 ფურცელი.

დანართი 2: "შპს "არ ემ ჯი აურამაინის"-ის ბექთაქარის ოქრო-პოლიმეტალური საბადოს მიმდებარე ტერიტორიაზე 1780მ3 მოცულობის რეზერვუარი-სალექარის მოწყობის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 24 ოქტომბრის №2-1010 ბრძანების გამოცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 2 ფურცელი და ერთი დისკი.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

**დიახ** ☐

**არა** ☒ რადგან

შენიშვნა-33

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან

შენიშვნა-34

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

**დიახ** ☐

**არა** ☒ რადგან

შენიშვნა-35

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე დროის ოპტიმალური შუალედი: 00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

**დიახ** ☐

**არა** ☒ რადგან

შენიშვნა-36

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

| ხელმოწერა | ხელმომწერის სახელი, გვარი | შევსების თარიღი |
|---|---|---|
| ნ. თ. | ნინო თანდილაშვილი<br>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე | 06/03/2020 წ. |

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

## ბრძანება N 2-557

18/06/2019

ქ. თბილისი

### ნინო თანდილაშვილისათვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის N112 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს ნინო თანდილაშვილს მიენიჭოს უფლებამოსილება:

ა) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების განსახორციელებლად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინტერესების წარდგენისა და დაცვის მიზნით, შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება ნებისმიერ სასამართლო ინსტანციაში, მათ შორის: ხელი მოაწეროს განცხადებებსა და მინდობილობებზე, აღძრას სარჩელი, ცნოს სარჩელი, მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე, შეცვალოს სარჩელის საგანი, მოურიგდეს მხარეს, გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება და წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი გადასახდევინებლად;

ბ) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებით აღჭურვოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო მოსამსახურეები.

2. ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ნინო თანდილაშვილის არყოფნის შემთხვევაში, მიენიჭოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილეს გიორგი ხანიშვილს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ნინო თანდილაშვილისათვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 მარტის N2-175 ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი

14